## ქალაქ თბილისის
## მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება № 360

„8" დეკემბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა №86-ში (საკადასტრო კოდები: №01.20.01.129.053.01.500; №01.20.01.129.053.01.501 და №01.20.01.129.053.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა №86-ში (საკადასტრო კოდი: №01.20.01.129.053.01.500; №01.20.01.129.053.01.501 და №01.20.01.129.053.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 16 ნოემბრის №20.1361.1674 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა №86-ში, პირველ სართულზე მდებარე 79.18 კვ.მ., მეორე სართულზე მდებარე 74.56 კვ.მ. და სარდაფში მდებარე 84.00 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: №01.20.01.129.053.01.500; №01.20.01.129.053.01.501 და №01.20.01.129.053.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მარინე ტაბუცაძისთვის (პ/ნ: 01023002669) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე                                                  გიორგი ტყემალაძე